

**საქართველოს მთავრობის  
განკარგულება  
№36 2014 წლის 13 იანვარი ქ. თბილისი**

**საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან ევროპულ და  
ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში  
საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატისათვის თანხის  
გამოყოფის თაობაზე**

ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის პროცესის შეუფერხებელი და თანმიმდევრული განხორციელების მიზნით, სათანადო ღონისძიებების მაღალ დონეზე მომზადებისათვის აუცილებელი მომსახურების შეძენის ხარჯების დასაფინანსებლად საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ „საქართველოს 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატს გამოუყოს 2 100 000 (ორი მილიონ ასი ათასი) ლარი.

პრემიერ-მინისტრი

*ირაკლი ღარიბაშვილი*